№000046 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

„1-8” ფასადზე: “6`-8„ მონაკვეთში +5.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური აივანი, ხოლო +14.90 ნიშნულზე გაზრდილია აივნის სიგრძე.
„გეგმის მიხედვით”: ნაწილობრივ შეცვლილია კოლონებს შორის დაშორება. -6.40 ნიშნულზე “ა-გ” და “6`-8„ მონაკვეთში გაუქმებულია ერთ-ერთი მანქანის ლიფტი ხოლო მეორე მანქანის ლიფტს შეცვლილი აქვს გაბარიტი. “5-4” მონაკვეთში მდებარე ლიფტის კარს ადგილი აქვს მონაცვლებული და გაზრდილია კარის ღიობის სიგრძე, ასევე “3” ღერძზე მდებარე ლიფტის კარს ადგილი აქვს მონაცვლებული. “ე” ღერძზე მდებარე კედელს შეცვლილი აქვს ფორმა. “5-4” მონაკვეთში “გ” ღერძზე მოწყობილია მონოლითური კედელი, ასევე -3.20 ნიშნულზე. +5.00 ნიშნულზე “დ-ე” და “8-6” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები. +8.30 ნიშნულზე “ა” ღერძის გარეთ “6`„ ღერძზე აივანზე გაუქმებულია საყვავილე. +18.20 ნიშნულზე “1`-1” მონაკვეთში სემცირებულია აივნის სიგრძე. “2-3” მონაკვეთსი “ბ`„ ღერძზე მდებარე კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილი “გ” ღერძისკენ. +34.70 ნიშნულზე “5-4” და “გ-დ” მონაკვეთში მოწყობილია სახურავზე ასასვლელი ღიობი.

ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტები კარ-ფანჯრებისთვის განკუთვნილი ღიობები. სახურავებზე დამატებით მოწყობილია შახტები.

წამყვანი სპეციალისტი /გ. თოფურია/

საგადახდო დავალება
Payment Order

\# 1552652783

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 15/03/2019

გადამხდელი / Sender

შპს არგო გრუპ ჯორჯია, 400113532

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE72TB7882636050100001

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს არგო გრუპ ჯორჯია, 400113532

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 400113532

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 000046 სამშენელო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

რეფერენსი / Ref. Num.

2534432893

თანხა / Amount

15,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

15/03/2019

ხელმოწერა
Signature

დასტამპილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი
TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

1-2088

ბრძანება №_____

4 ნოემბერი

"____"_____2016 წ.

„ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №76-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2014 წლის 25 ივნისის №1544 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და „ქ. თბილისში, ბარნოვის III ჩიხი №4-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.15.02.028.015, 01.15.02.028.009), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 25 აპრილის №1-680 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე, 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2016 წლის 6 ოქტომბრის №50 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №76-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2014 წლის 25 ივნისის №1544 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №76-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.028.016) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №76-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.028.016) განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,7, კ2=4,7“;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების

დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი". ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480). ა/ანგარიში:GE66LB0125152101628783.) 471144,71 (ოთხასსამოცდათერთმეტი ათას ასორმოცდაოთხი ლარი და სამოცდათერთმეტი თეთრი) ლარი.".

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში, ბარნოვის III ჩიხი №4-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.15.02.028.015, 01.15.02.028.009), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 25 აპრილის №1-680 ბრძანება.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი

N 347
15.08.16

შპს „არქი გრუპის" დირექტორს
ბატონ მიხეილ სულაძეს
მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი,
მიქატაძის I შეს. N 5/37

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2016 წლის 23 აგვისტოს განცხადების (რეგისტრაციის # 258; 23.08.2016 წ.) პასუხად გიგზავნით ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. N 76/ ქალაქი თბილისი, ჩიხი ბარნოვი III, N 4 / ქალაქი თბილისი, ჩიხი ბარნოვი III, N 4, ნაკვეთი 28/015 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.15.02.028.016) მდებარე 7 (შვიდი) ერთეული მცენარის აღწერა-შეფასების თაობაზე დასკვნას (იხ. დანართი #1).

პატივისცემით,

ვახტანგ გაბიძაშვილი
დირექტორის მოადგილე
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ბოტანიკურის ქ. #1, 0105 თბილისი, საქართველო. ტელ.: (032) 2 72 43 06, ელ. ფოსტა: info@nbgg.ge; www.nbgg.ge
1 Botanikuri str, 0105 Tbilisi, Georgia. National Botanical garden of Georgia. Member of BGCI. Institution code: TBI

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. #76
(საკ./კოდი 01.15.02.028.016)

დავათვალიერეთ და შევაფასეთ ნაკვეთზე არსებული ხემცენარეების დღევანდელი მდგომარეობა. ცხრილში მოცემულია მათი ბიომეტრულ მონაცემები (იხ. ცხრილი).

მცენარის #	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D, სმ	H, მ	მცენარის მდგომარეობა
1.	ჰიმალაური კედარი - Cedrus deodara	ხე	64,0	20,0	საღი
2	ჰიმალაური კედარი - Cedrus deodara	ხე	47,0	21,0	საღი
3	ჰიმალაური კედარი - Cedrus deodara	ხე	51,0	16,0	საღი
4	ჰიმალაური კედარი - Cedrus deodara	ხე	49,0	17,0	საღი
5	ჰიმალაური კედარი - Cedrus deodara	ხე	36,0	20,0	საღი
6	ჰიმალაური კედარი - Cedrus deodara	ხე	50,0	21,0	საღი
7	მარადმწვანე კვიპაროსი Cupressus sempervirens	ხე	22,0	10,0	საღი

წარმოდგენილ საპროექტო გენგეგმის მიხედვით ტეროტორიაზე არსებულ ნარგავების სიცოცხლისუნარიანობას (6 ჰიმალაის კედარი და 1 მარადმწვანე კვიპაროსი) საფრთხე არ ემუქრება.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა ინტროდუქციის განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი — სვეტლანა ხმალაძე

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი — ჯუმბერ ლომიძე

25.08.2016 წ.


არსებული საფეხმავლო გზა
ბარნოვის ქუჩა
ტოპოზე არსებული ყველა ხე შენარჩუნებულია
(არ ხდება არცერთი ხის მოჭრა ან გადარგვა)
სატრანსპორტო ზონა 42მ²
11%
10%
12%
12%
YLD&CO
404992065
OFFICE
NATIONAL BOTANICAL GARDEN OF GEORGIA
რევიზია
თარიღი
ნომერი
აღწერა
პროექტი
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
ბარნოვის № 76
ნახაზი
I სართულის გეგმა
მასშტაბი
1:200
ფორმატი
A3
თარიღი
18.08.2016
სქემატური პროექტი
პროექტის ნომერი
001
ეტაპი
DWG
ფურცელი
ა-102

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01171033634**

თარიღი: **13.04.2017**

ადრესატი:
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ბატონი გიორგი ალადაშვილი
მისამართი: მის: ქ. თბილისი, ჩალაძის ქ. N1

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 20 მარტს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის განყოფილების სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ვასილ ბარნოვის ქუჩა N76-ს ტერიორიაზე (კერძო საკუთრება ს.კ N01.15.02.028.016) მწვანე ნარგავების დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით (წაიქცა ძლიერი ქარის შედეგად) შედგენილ იქნა სავალე აქტი.

საკითხის შემდგომი შესწავლის შედეგად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 05 აპრლის №18-01170953816 წერილის საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული ხე-მცენარეების აღდგენითი ღირებულება შეადგენს 2688 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების შესაძლო არსებობის გამო, შემდგომი რეაგირებისათვის გიგზავნით ზემოაღნიშნული სამართალდარღვევის საქმისწარმოების მასალებს.

საკონტაქტო პირი შალვა მესხია. ტელ: 577 27 05 18

დანართი: 07 (შვიდი) ფურცელი, 04 (ოთხი) ფოტოსურათი.

1. სავალე აქტი (ორიგინალი) 1 (ართი) ფურცელი;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 05 აპრლის №18-01170953816 წერილი. (ელექტრონული ასლი) 01 (ერთი) ფურცელი;

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 20 მარტის N17-01170803847 წერილი. (ელექტრონული ასლი) 01 (ერთი) ფურცელი.

4. მოქალაქე მიხეილ სულაძის ახსნა-განმარტება. 04 (ოთხი)

პატივისცემით,

სამსახურის უფროსის მოადგილე მიხეილ მაღლაკელიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01170953816**

თარიღი: **05.04.2017**

ადრესატი:
მიხეილ მაღლაკელიძე
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური - სამსახურის უფროსის მოადგილე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური, თქვენი 2017 წლის 20 მარტის #17-01170803847 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოწოდებული საველე აქტის შესაბამისად, ქ. თბილისში ბარნოვის ქ. #76 (საკ/კოდ 01.15.02.028.016 კერძო საკუთრება) სამშენებლო ქვაბულის ამოღებით, 1 (ერთი) ძირი კედარის ფესვებიანად წაქცევის შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენითი ღირებულების გადასახადი (დაბალი ღირებულების ჯგუფის ხე-მცენარეებისთვის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ხის დიამეტრის შესაბამისად) საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' მე-2 თავის მე-4, მე-5, მე-7 მუხლების შესაბამისად შეადგენს 2688 (ორიათასექვსასოთხმოცდარვა) ლარს.

ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. #76 კერძო საკუთრება						
ხის სახეობა		**დიამეტრი სმ**	**აღდგენითი ღირებულება**	**შენიშვნა**		
1	კედარი	56	1344	წაქცეული სამშენებლო ქვაბულის ამოღების დროს		
				ჯარიმის ნამრავლი		
სულ ჯამი			**1344**	**2**	**კოეფიციენტი**	**მთლიანი ჯამი**
					1	**2688**

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური - სამსახურის უფროსი

გიორგი წერეთელი